შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამების კატალოგი

საკონტაქტო ინფორმაცია: მის. ქ. თბილისი, ხოშარაული #30ა

ტელ: +559 568 99 90 78, 577 05 27 70,

599 13 41 52

ვებგვერდი: avicennacollege19@gmail.com

თბილისი 2022

კოლეჯის შესახებ და ისტორია

კოლეჯი წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს, რომლის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო. კოლეჯი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში და ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველის საერთაშორისო ხელშეკრულებებით და შეთანხმებებით, „პროფესიული განათლების შესახებ“ და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შსახებ“ საქართველოს კანონებით, სხვა ნორმატიული აქტებით და კოლეჯის წესდებით.

კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმის განხორციელება შესაძლებელია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, ს.ს.ი.პ. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, ს.ს.ი.პ. მასწავლებელთა განვითარების ეროვნულ ცენტღთან, ს.ს.ი.პ. შეფასების და გამოცდების ეროვნულ ცენტრთან, ს.ს.ი.პ. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან, საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციასთან, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, კერძო სექტორთან და სხვა პარტნიორებთან ერთად.

შპს „ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი“ პროფესიული განათლების მიმართულებით არის სასწავლებელი საქართველოში, რომლის ისტორია თავის საწყისს- 2018 წლიდან იღებს.

--- 2019 წლის 17.01. შპს „ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივმა კოლრჯმა მიიღო ავტორიზაცია 6 წლის ვადით.

---- 2022 წლის 26.04. ოქმი #42022222486 საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ შპს „ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯს მიეცა უფლება დამატებით განახორციელოს „საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.“

შპს „ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯში“პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება ორი მიმართულებით - „ბიზნესი და ადმინისტრირების“ (საბუღალტრო აღრიცხვა) და „ჯანდაცვის“ (საექთნო და სამეანო საქმე)

კოლეჯის კონცეფცია

მ ი ს ი ა:

ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების მომზადების, მათი დასაქმების და თვითდასაქმების უზრუნველყოფა, ინოვაციური მიდგომებისა და ტექნოლოგიური განვითარების გათვალისწინების გზით.

ხ ე დ ვ ა:

კოლეჯის სამომავლო ხედვაა 2026 წლისთვის იმ პროფესიული საგანვმანათლებლო პროგრამების სფეროში, რომელსაც ახორციელებს დაწესებულება, შრომის ბაზრს მოთხოვნების დაკმაყოფილებაში წვლილის შეტანა კონკურენტუნარიანი და მაღალკვალიფიციური კადრებით.

ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბა:

- პასუხისმგებლობა.
- გუნდურობა
- პროფესიონალიზმი
- მუდმივი მზაობა სწრაფად ცვალებადი მოთხოვნებისადმი.

საგანმანათლებლო პროგრამა

საექთნო განათლება /Nursing

V საფეხური

ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შექმნილია პროგრამა: 09109 -3

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე :
უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში/ Higher Vocational Qualification in **/Nursing**

დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება

პროგრამის მიზანი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი, ზოგად მოვლაზე პასუხისმგებელი ექთნის მომზადება.

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები

საექთნო საქმეში კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ჯანდაცვის სფეროში, სხვადასხვა პროფილის სამედიცინო დაწესებულებებში, შინ მოვლის სფეროში, სხვა ტიპის ორგანიზაციებში, რომლებიც სჭიროებს საექთნო მომსახურებას.

სტრუქტურა და მოდულები

საექთნო განათლების ჩარჩო დოკუმენტი ითვალისწინებს **180 კრედიტის** რაოდენობის ზოგად და პროფესიულ მოდულებს.
ზოგად მოდულთა კრედიტების რაოდენობა შეადგენს **9 კრედიტს.**
პროფესიული მოდულების კრედიტების რაოდენობა შეადგენს **171 კრედიტს.**

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს როგორც თეორიულ და პრაქტიკულ, ასევე - კლინიკურ სწავლების კომპონენტსაც. სწავლება-სწავლის პროცესის ხანგრძლივობა გრძელდება სამი საწავლო წელი, სრული დატვირთვით. პროგრამით განსაზღვრული კლინიკური სწავლება სრული მოცულობის ნახევარს (90 კრედიტი) შეადგენს და ხორციელდება პრაქტიკის ობიექტზე.
პროფესიულ სტუდენტისათვის, რომელსაც უდასტურდება ქართული ენის ცოდნა პროგრამის მოცულობაა 180 კრედიტი (სავარაუდო ხანგრძლივობა 31 სასწავლო თვე)
პროფესიულ სტუდენტისათვის, რომელსაც არ უდასტურდება ქართული ენის ცოდნა პროგრამის მოცულობაა 210 კრედიტი (სავარაუდო ხანგრძლივობა 37 სასწავლო თვე)

რა არის მოდული?

სწავლების დამოუკიდებელი თანმიმდევრული ბლოკი, რომელიც ორიენტირებულია მისაღწევ სწავლის შედეგებზე. მოდულით განისაზღვრება სასწავლო თემატიკა და მისაღწევი სწავლის შედეგების ურთიერთკავშირი და პროფესიული სტუდენტის სწავლებისა და შეფასების ორგანიზებასთან დაკავშირებული ინფორმაცია

რა არის კრედიტი:

კრედიტი არის ერთეულუ, რომელიც გამოხატავს პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ. 1 კრედიტი ასახავს პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობას 25 ასტრონომიული საათის განმავლობაში

პარტნიორთა ორგანიზაციები

კოლეჯი კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და ხარისხის შემდგომი სრულყოფის მიზნით მუდმივად გეგმავს და ახორციელებს საქმიანობას სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გზით. ბიზნესსექტორტან აქტიური ტანამშრომლობის შედეგად მუდმივად იზრდება სასწავლებლის პარტნიორი ორგანიზაციების ჩამონათვალი:

1. თსუ- ს საუნივერსიტეტო კლინიკა VIVAMEDI
2. წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო
3. შპს ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი
4. ა(ა)იპ „საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი“
5. კლინიკა „იმედი“

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

კოლეჯს ამჟამად გააჩნია სტანდარტების შესაბამისა აღჭურვილი 10 სასწავლო ოთახი, ბიბლიოთეკა 1200 წიგნადი ფონდით, საკონფერენციო დარბაზი, კომპიუტერული კლასი, პირველი სამედიცინო დახმარების პუნქტი.

გალერეა

მობილობა

პროფესიული სტუდენტის მობილობა არის პროფესიული სტუდენტის თავისუფალი გადაადგილება სწავლის პროცესში მონაწილეობის მისაღებად, როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში, რასაც თან სდევს სწავლის პერიოდში მიღებული განათლების, კრედიტების ან კვალიფიკაციის აღიარება; ავტორიზაციის ვადის გასვლის/ავტორიზაციის გაუქმების/ავტორიზაციაზე უარის თქმის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების ჩამორთმევის შემთხვევაში დაწესებულების მიერ განხორციელებულ მხოლოდ პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე არსებულ პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ განახორციელონ პროფესიული სტუდენტის მობილობა და გადავიდნენ სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, მათ შორის, სხვა მხოლოდ პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირთათვის

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტებისათვის დაწესებულებაში არის ადაფტირებული გარემო, ხოლო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად კი პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

საექთნო განათლება

№	მოდულის დასახელება		კრედიტი
1	საინფორმაციო ტექნოლოგიები-საექთნო საქმეში	-	2
2	კომუნიკაცია საექთნო საქმეში	-	3
3	უცხოური ენა-საექთნო საქმეში	-	5
		სულ	9

4	ინფექციის კონტროლის საფუძვლები		2
5	გერონტოლოგია და გერიატრიის საფუძვლები		3
6	ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები		6
7	თერაპიული პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები		7
8	გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები		3
9	კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები და ანესთეზია	-	5
10	სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები		2
11	პედიატრია და მოზარდები		3
12	ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია		3
		სულ	45
		თეორიული სწავლება სოციალური მეცნიერებები	
1	საექთნო პრაქტიკის პრინციპები სხვადასხვა ტიპის სამედიცინო დაწესებულებებში		1
2	სამართლებრივი ასპექტები საექთნო საქმეში		3
3	მენეჯმენტის საფუძვლები		2
		სულ	6
		პროფესიული მოდულები-პრაქტიკული სწავლება	
1	ავადმყოფის მოვლა		4
2	შინმოვლა		2
		სულ	6
		პროფესიული მოდულები-კლინიკური სწავლება	
1	კლინიკური პრაქტიკა-ქირურგიული პაციანტის საექთნო მართვა		11
2	შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-ქირურგიული პაციანტის საექთნო მართვა		6
3	კლინიკური პრაქტიკა-თერაპიული პაციანტის საექთნო მართვა		11
4	შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-თერაპიული პაციანტის საექთნო მართვა		6
5	კლინიკური პრაქტიკა-გადაუდებელი პაციანტის საექთნო მართვა		10
6	შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-გადაუდებელი პაციანტის საექთნო მართვა		5

7	კლინიკური პრაქტიკა-კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციანტის საექთნო მართვა		12
8	შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციანტის საექთნო მართვა		4
9	კლინიკური პრაქტიკა-სამეანო და გინეკოლოგიური პაციანტის საექთნო მართვა		6
10	შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-სამეანო და გინეკოლოგიური პაციანტის საექთნო მართვა		3
11	კლინიკური პრაქტიკა-პედიატრია და მოზარდები		7
12	შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-პედიატრია და მოზარდები		3
13	კლინიკური პრაქტიკა-ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია		3
14	შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია		3
		სულ	90